შეთანხმება

ისრაელის სახელმწიფოს მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ეროვნული პასპორტების მფლობელთათვის ვიზისგან გათავისუფლების შესახებ

ისრაელის სახელმწიფოს მთავრობა და საქართველოს მთავრობა, შემდგომში წოდებულნი როგორც „მხარეები“,

სურვილი აქვთ რა, შემდგომში განავითაროონ და გააძლიეროონ ორ ქვეყანას შორის უკვე არსებული მეგობრული ურთიერთობები,

სურვილი აქვთ რა, გაამარტივონ მგზავრობის პროცედურები ორი ქვეყნის ეროვნული პასპორტების მფლობელთათვის,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

თითოეული მხარის მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ მოქმედ ეროვნულ პასპორტებს, უნდა გათავისუფლდნენ ვიზის აღების ვალდებულებისგან, რათა შევიდნენ მეორე მხარის ტერიტორიაზე ვიზიტის ან მათი პირველი შესვლის დღიდან ექვსი (6) თვის მანძილზე არაუმეტეს ოთხმოცდაათი (90) დღით ყოფნის მიზნით.

მუხლი 2

თითოეული ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც განზრახული აქვთ იმყოფებოდნენ მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე ოთხმოცდაათ (90) დღეზე მეტი ვადით, ვალდებულნი არიან წინასწარ აიღონ ვიზა.

მუხლი 3

თითოეული ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც შედიან მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში, უნდა დაიცვან იმ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, სადაც იმყოფებიან.

მუხლი 4

თითოეული მხარე იტოვებს უფლებას, უარი უთხრას მეორე მხარის მოქალაქეებს მის ქვეყანაში შესვლაზე, რომლებსაც ის მიიჩნევს არასასურველად, ან შეუმციროს ასეთ მოქალაქეებს მის ქვეყანაში ყოფნის ვადა.

მუხლი 5

1. მხარეებმა დიპლომატიური არხებით უნდა გაცვალონ თავიანთი მოქმედი ეროვნული პასპორტების ნიმუშები წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლამდე არაუმეტეს 30 (ოცდაათი) დღით ადრე.

2. იმ შემთხვევაში, თუ ერთი მხარე მიიღებს პასპორტის ახალ მოდელს ან შეცვლის უკვე არსებულს, მეორე მხარეს დიპლომატიური არხებით უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ასეთ ცვლილებებთან დაკავშირებით ახალი ან შეცვლილი პასპორტების ამოქმედების თარიღამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე. შეტყობინება უნდა შეიცავდეს ახალი ან შეცვლილი დოკუმენტის ნიმუშს და ინფორმაციას მათი ამოქმედების შესახებ.

მუხლი 6

მხარეთა ურთიერთშეთანხმებით წინამდებარე შეთანხმებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ძალაში შევა ქვემოთმოცემული მე-7 მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

მუხლი 7

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი

პროცედურების დასრულების შესახებ უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღიდან 90 (ოთხმოცდაათი) დღის შემდეგ. შეთანხმება იდება 1 (ერთი) წლის ვადით და ავტომატურად გაგრძელდება დამატებითი ერთწლიანი პერიოდებით, თუ ერთ-ერთი მხარე არ შეწყვიტავს მის მოქმედებას მისი ვადის ამოწურვამდე.

2. თითოეულ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტა მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. მოქმედების შეწყვეტა ძალაში შევა ასეთი შეტყობინების მიღებიდან 90-ე (ოთხმოცდამეათე) დღეს.

შესრულებულია ქ. _____ 5774 წლის, რომელიც შეესაბამება 2013 წლის _____, ორ დედნად, თითოეული ებრაულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია. განმარტებისას უთანხმოების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

ისრაელის სახელმწიფოს მთავრობის სახელით

საქართველოს მთავრობის სახელით



